საქართველოს ხალხური ... ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

№ 193
1877

ივერია

№ 193
1903

ექტემბერი 11, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 11, ხუთშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წლის შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე,

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6. იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. 10—6—2

„წერა-კითხვის საზოგადოების“
კაკაბეთის სკოლაში
განთავისუფლებულია მასწავლებლის
ადგილი
მასწავლებელს ექნება ბინა და ჯამაგირი 300 მან. (თუ მღივნად იქმნა არჩეული, მიეცემა 360 მან). მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით და საჭირო საბუთებით „საზოგადოების“ გამგეობას ტფილისში.
(2—6—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
წიგნის ისტორია
შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,
დანიელ დეფოს
რობინზონ კრუზე
მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.
დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

ცარსკოე-სელოსა და პოლოცკის ქალთა სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებს მიურთმევიათ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისათვის ამ სასწავლებლებში დახატული დიდი ხატები ეკკლესიის კანკელისა. ხელმწიფე იმპერატრიცას უნებებია უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებით, შემოსწიროს ეს ხატები ორს ღარიბ ეკკლესიას სამეგრელოში—წმ. გიორგისას—სოფ. ნაფიჩხვარში და წმ. გიორგისას—სოფ. წითელ-მთაში. ხატები უკვე მიიღო ქართლ-კახეთის უწ. სინოდის კანტორამ და უგზავნის დასახელებულ ეკკლესიებს.

რადგანაც ამ ბოლოს დროს გლეხთა ცხოვრებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთავრობამ, სოფლის საზოგადოებებს კუთვნილი სახელმწიფო მიწა უნდა მიეზომოს და ამის გამო მომრიგებელ შუაკაცების შტატიც გადიდდა, სწორედ რომ საჭირო შეიქმნა გამოიცეს კანონთა კრებული, რაც-კი გლეხთა ცხოვრებას შეეხება. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად თ-დ გ. ნ. დიასამიძეს განუზრახავს ეს საქმე და მის სტამბაში უკვე იბეჭდება ამ კანონთა კრებული. ამავე სტამბაში დაიბეჭდება კანონი 4 ნოემბრის 1864 წ. მომრიგებელ შუაკაცებისა და გუბერნიის საგლეხო საკრებულოს შესახებ. ეს კრებულიც ახალ მომრიგებელ შუაკაცებისათვის და თვით ხალხისათვისაც ფრიად საჭიროა. კარგი იქმნებოდა ამ კანონების რიგიანი თარგმანი გამოიცეს ქართულს ენაზედ.

ტფილისის სასულიერო სემინარიის შენობა ამ ორს თვეში დამთავრდება. შემდეგ სასწავლო წლიდამ სემინარიის მთავრობა აპირობს ახალს შენობაში გადასვლას.

როგორც ისმის, ტირძნისის მეორე კლასიანი სკოლა გადატანილ იქმნება რუსთა სოფელში, ტფილისის ახლოს, ოლგინსკოეში. ტირძნისში კი ორკლასიანი სკოლა დაარსდება.

როგორც ამბობენ, ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მამა ესტატე ელიაშვილი.

სემინარიებში სწავლა დამთავრებულთ აქამომდე სამთა-მადნო ისტიტუტში არ იღებდნენ. ეხლა-კი მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ სემინარიელებს ეგზამენი დააჭერინონ სხვებთან ერთად და ღირსეულნი მიიღონ ამ ინსტიტუტში.

უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, მონაწილეობა მიიღოს რუსეთმა იმ მსოფლიო გამოფენაში, რომელსაც ჰმართავს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკა ქალაქ სან-ლუისში 1904 წელს. მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა სთხოვა, სხვათა შორის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, დახმარება გაუწიოს სამინისტროს აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობის მიღების დროს როგორც თავის ნაწარმოებთა წარდგენით, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა წახალისებით მონაწილეობის მისაღებად. სან-ლუი დიდი ქალაქია, შეიცავს 700,000 მცხოვრებს და მდ. მისისიპის პირად მდებარეობს. ვისაც უნდა ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება, თავისი სურვილი უნდა შეატყობინოს მიწად-მოქმედების სამინისტროს საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელეს ევსტაფი ნიკოლოზის ძეს ნიტტეს პეტერბურგში.

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ დაადგინა ბათუმის სკოლაში მასწავლებლად დანიშნოს ალექსანდრე გელაძე.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა წარსულს შაბათს 6 სეკდემბერს თავის ნოქრებსა და მსახურთ პაწია ექსკურსია გაუმართა თავის ხარჯით. ექსკურსანტები, რიცხვით ოცდახუთ კაცამდე, გაემგზავრნენ ერევანს, ხოლო დაბრუნდნენ ორშაბათსა და სამშაბათს, 8—9 სეკდემბერს:

სოლოლაკში, შინდისის ქუჩაზედ, ხოხობოვის მამულის პირდაპირის სახლის პატრონმა თავისი ეზო საკმაოდ გააფართოვა და ამ გაფართოვებით გზის პირი ორ საჟენამდე ჩასთხარა. ღამე თუ გამვლელმა ფეხი გადასდგა თხრილში, სული აღარ შერჩება. საკვირველია, რომ ქალაქის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას და მოაჯირს მაინც არ გაავლებინებს.

გუშინ და გუშინ-წინ მტკვარმა საკმაოდ მოიმატა, სატივედგან ტივები მოიტაცა და დაშლილი ჩაატარა.

მატყუარობაა თუ არა?!

ვინ არ იცის და ვის არ გაუგონია, თუ სულით ავადმყოფობა რა თავ-ზარ დამცემი ავადმყოფობაა. ვისაც-კი თვალი მოუკრავს ამ გვარ ავადმყოფისათვის, შიშის ზარს აუტანია. ამ გვარი ავადმყოფის პატრონი თავის სულს აქეთ აღარაფერსა ჰზოგავს, ოღონდაც მის ავადმყოფს ეშველოს რამე. მართალია, თითოოროლა ექიმი მოგვეპოვება, რომელიც დიდის სიფთხილითა ჰკიდებს ხელს, ისიც ახალ დაავადებულს, რომ როგორმე შეუმსუბუქოს ტანჯვა-წვალება, მაგრამ ასში ერთი თუ მოარჩინეს, ისიც დიდი საქმეა და ოთხმოც და ცხრამეტი-კი იტანჯება. მაშასადამე, სჩანს მეცნიერებას ჯერ-ჯერობით შესაფერი წამალი არ აღმოუჩენია, მაგრამ არიან ჩვენს ბედკრულს ქვეყანაში, და მომეტებულად ტფილისში ისეთნი, რომელთაც არავითარი ცოდნა არა მიუღიათ-რა და ყოველ გვარ ავადმყოფობას-კი დიდის ჯანაოზის სახელითა ჰკიდებენ ხელს და სასყიდელსაც საკმაოდ დიდს იღებენ. მერე ვინ იქნება ისეთი გულ-შეუტკივარი, რომ ამ გვარ ავადმყოფობისათვის ფასი დაჰზოგოს?! მე ვნახე ამ დღეებში თელავის ერთი მოქალაქე არტემა, გვარი ვერ გავიგე რომელიც ერთის სულით ავადმყოფის პატრონს ურიგდებოდა და აიმედებდა, შენს შვილს ერთის წლის წამლობით ისე გამოვასაღებ, რომ ფრჩხილიც აღარ წამოსტკივდესო. ამ სასწაულთ მოქმედებაში მოწმად ასახელებდა ყველასაგან კარგად ცნობილს თავადს ლევან ჯანდიერს, რომელსაც სიზმარიც-კი დაეჯერება (ტფილისის მაზრის მმართველს). თუ ჩემი არა გჯერათ, იკითხეთ და გაიგებთ ჩემს ჯანაოზ ექიმობასაო. ეს ექიმი წინდაწინვე თხოულობს რამდენსამე, ხოლო დანარჩენს თვე და თვე, მანამ მოარჩენდეს. საქმე ის არის, რომ ფულს იღებს, ავადმყოფს უკრძალავს სწავლას (ჩემი ნაცნობი ავადმყოფი მოსწავლე გახლავთ), ზოგიერთს საჭმელ-სასმელს, მუშაობას და სხვ. ამიტომ მივმართავთ და ვთხოვთ თ-დ ლევან ჯანდიერს, ამ შინაურ ექიმის შესახებ თუ იცის რამე, გაზეთის საშუალებით გააგებინოს ქვეყანას, რომ გულ-არხეინად დაიმედებულებმა დაჰხარჯონ ფული, თორემ, მოგეხსენებათ, უბრალო ხარჯის გაწევა და ამასთანავე ერთს წელიწადს ყმაწვილის გაცდენა ძნელია. იმედია, ყოველსავე ნამდვილად გავიგებთ ზემოხსენებულ თავადისაგან სულ ცოტახანში.

ს. ბ—შვილი

სვანეთში ორი კვირით

(შემდეგი *)

XII.

სვანეთში მიმავალი მგზავრი ცაგერში უნდა შეემზადოს, ყოველგვარი თავდარიგი დაიჭიროს ცუდს გზებზედ მოგზაურობისათვის. აქ ცხენების შოვნა ძნელია. ჩვენმა გულუხვმა მასპინძელმა ბ-ნმა ზ. რ. ყიფიანმა ს. ლენტეხიდან ჩამოგვიყვანა ექვსი ცხენი. ხუთნი მგზავრნი ვიყავით: ბ-ნი პროფესორი ა. ხახანაშვილი, მაგისტრი ფარმაციისა ი. ს. ტყეშელაშვილი, ზ. ჰ. ფალიაშვილი, ჩვენი ნაცნობი სტეფან ანტონიჩი და მე. მეექვსე ცხენი ბარგისათვის იყო საჭირო. ცაგერიდან ეწერამდე თითო ცხენი რვა მანათად ვიქირავეთ, მაგრამ გზაში რადგან თითო დღეობით დარჩომა მოგვიხდებოდა ხოლმე და ცხენის პატრონებს კი ამის გამო დრო ეკარგებოდათ, ამიტომ ცხენზედ ორ-ორი მანათი წაგვამატებინეს და თითო ცხენზედ თითო თუმანი გაუხდათ. სვანეთში მგზავრობა მხოლოდ სვანური ცხენით შეიძლება. სწორეთ გასაკვირველია სვანის და მისი ცხენის ამტანობა ამ ბეწვიხიდა გზებზედ—აღმართ-დაღმართზე. ერთნაირის მხნეობით და უაირათით მიდის წინ სვანი და მისი ცხენი.

ცაგერს ზევით იწყობა სადადიანო სვანეთი.

10 ივლისს, დილის რვა საათზედ, გამოვემშვიდობეთ დაუვიწყარს მასპინძელს, მოვასხდით ცხენებს და გავსწიეთ მურის ხიდისაკენ. მარჯვენა მხარე ავუარეთ ცხენის წყალს კლდეში გამოთხრილი ბილიკით. აქ შევნიშნეთ კლდეში გამოქვაბული სენაკი, სადაც ოდესმე წმ. ბერს უცხოვრია განმხოლოებით და უგზოობისა გამო თოკით აწვდიდნენ საზრდოს მაღლა კლდის წვერიდგან. ეხლანდელი გზა უწინ მაღლა მთაზედ გადადიოდა. მურის ხიდს ავუქციეთ მხარი და შევუდექით კლდე-ღრეს. სტეპან ანტონიჩს აქვე ეცვალა ფერი. მალე მიგვეფარნენ თვალთაგან—ცაგერი, ჩხუტელი, მური.

შევუდგით მშვენიერს ამწვანებულს ცხენის წყლის ხეობას. პატარ-პატარა სოფლები ზედი-ზედ ამწკრივდებიან უფრო ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირს—ჩხმელური, ყვედრეში, ჩოლურის ციხე, ქალური, წიფლაკავა, მაზაში, ხობური, მუელიარი, ლამჟარი, ლაილვიარი, ლათკვერი და სხ. გზა-გზა ხშირად სხმოიარე ვაზების ხეივნებს ქვეშ მივდიოდით.

---

*) იხ. ,,ივერია“ № 187.

გზაში ოცდა ათი მეტი ცხენი ვნახეთ სიმინდ აკიდებული, ხონიდგან მოჰქონდათ ბ. ოქრომჭედლიშვილის კანტორაში. ჩვენი ყურადღება მიიქცია აქ ბ. ოქრომჭედლიშვილის თვალსაჩინო მოღვაწეობამ: იჯარით აუღია დადიანის ფიჭვნარიანი ტყეები—ცხენის წყლის გაღმა-გამოღმა-ყველრეშიდგან ლენტეხამდე. ორი ათასი კაცი მეტი ყოველ დღე მუშაობს—რიგი ხეებსა სჭრის მაღლა მთაში, რიგი ამ ხეებს მაღლიდგან დაბლა წყლის პირს ჰყრის, რიგი წყალს ურთავს ამ ხეებს, ანუ წყლისგან გარიყულ ხეებს ისევ წყალში ჰყრის და ასე ორპირამდე მდინარე წყალს აზიდვინებენ უთვალავ ხეებსა. გაჭირვებაში მყოფ ლეჩხუმელებს და სვანებს ბ. ოქრომჭედლიშვილის სატყეო ქარხანა ასულიერებს სწორედ. წელიწადში ექვსი ათას თუმნამდე ფული ტრიალებს მუშა ხალხის ხელში. ვნახეთ მისი მშვენიერი კანტორა, დიდის ცოდნით მოწყობილი წისქვილი, აქვეა სამჭედლური გამართული.

ხეობა მეტად ვიწროა, ორივე მხრივ აყუდებულია მშვენიერი ტყით მოსილი მთები. სადაც-კი ხელი მიუწვდენია სვანს, ყველგან აუჩიჩქნია და დაუთესია დიკა, უფხო ყანა, სიმინდი, ქერი, ფეტვი, გაუშენებია ვაზი.

კანტორიდგან სამიოდე ვერსი მეტად ელდოვანი და საშიში გზა რო გავიარეთ, წინ პატარა მწვანე ველი დაგვხვდა. ზედ მდინარის პირზედ მშვენიერი ჩრდილოვანი მურყანი (რთხმელა) იდგა. ასე შუადღისას აქ ჩამოვხდით და გულიანად დავისვენეთ. იქვე კლდის ძირში საუცხოვო ცივი წყარო გამოდიოდა. დავიბანეთ ნამგზავრი, სიცხისაგან არუელული პირი-სახე, გავშალეთ მამაპაპური სუფრა და შევექეცით გემრიელ სადილს **). ამ ადგილს სადილი წინადღითვე დაგვინიშნა პატივცემულმა ბლაღოჩინმა მამა გერსამიამ, რომელიც თან გამოგვყვა ცაგერიდამ ლაშხეთამდე. ლეჩხუმის ღვინომ ცოტა არ იყო უგათი მოგვიმატა. მეტად შემრგოა აქაური ღვინო. იმ ზეგნური კაკლისა არ იყვეს და გოგრისა, აქ რომ ღმერთს კახური ღვინო გაეჩინა, არ გამოდგებოდა ამ გზებზე. აქაური ღვინო-კი გაამხიარულებს და გზის სიძნელეს თითქოს გიადვილებს. სადილთ უკან სტეპან ანტონიჩმა თოფის სროლა ასტესა: სად იყო სადარა თვალი მოჰკრა მფრინავ სვავსა, წამოხტა ერთი ფლახი-ფლუხით და ამოიღო ნიშანში. დაიგრიალა თოფმა, მაგრამ სვავი ისევ ისე წარბ შეუხრელი ფრინავდა. იმოდენა მთების ქუხილივით ბანმაც ტყუილად ჩაიარა. ახლა ჩვენ ქვემოთ წყლის პირზე მდგომ მეორე მურყანს დაუმიზნა ნიშანში, აქ-კი მოარტყა ნიშანსა, ღვთის წინაშე. ამ დროს ერთმა ამხანაგმა იოხუნჯა—ახ! სად არის იმ ხეზე ერთი დაბმული დათვიო! მართლაც ძაან არ გაიხარებდა ჩვენი სტეპან ანტონიჩი!

შევუდექით ისევ ოღრო-ჩოღრო გზასა. ასე ოთხ საათზე მივედით იქ, სადაც დასავლეთისკენ მიმდინარეობას თავს ანებებს ცხენის-წყალი და სამხრეთისაკენ შვრება პირსა. აქ დასავლეთიდგან ერთვის მდ. ხელედულა *) ლაშქადურას და იქვე ერთად ემატებიან ცხენის წყალსა. გავედით ხელედულას საქანელა ხიდზე.

ხელედულას და ლაშქადურას შერთულთან მდებარეობს მომაღლო კლდეზედ აშენებული უძველეს დროში ფრიად მაგარი ლარაშის ციხე. აქ ჯვარედინად ოთხი ხეობა გაღებულა ბუნებრივ და ამ ციხეში მყოფ ოთხსავე ხეობაში შემომსვლელს და გამსვლელს ღვთის რისხვასა სცემს თავზედ. ამ ციხეს თუ როგორმე წამოაწყდებოდა ვინმე სამტროდ, ცოცხალი ვეღარ წავიდოდა აქედგან.

ამ ციხეს ძველად განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა: ჯერ მეფენი და მერე დადიანები, ანუ ლეჩხუმის გამგებლები—ხელთ რომ იგდებდნენ გამოჩენილს ქვეყნის მტერს კაცსა, აქ ლარაშის ციხეში დაამწყვდევდნენ ხოლმე. ამიტომ ამ ციხეში ბევრს, ჩვენის ქვეყნის ამრევ-დამრევს კაცს დაულევია თვისი დღენი. პატარა ხანს შევდექ ამ ციხის მშვენიერს გასახედ-გამოსახედ გადავანთან და გავიყურებოდი ოთხივ-მხრივ ხეობაში, ვზმანობდი წარსულ ციხის პატრონთა შემძლეობასა და მათს ფუჭად ჩავლილს მოუსვენარ ცხოვრებასა! წასვლისას ერთი კიდევ მოვხედე ლარაშის ციხეს და ცხადად წარმომიდგა ოდესმე მისი გამოსადეგობა, უწინ გაჭირვებაში, როდესაც ამ ციხის მიდამოების პატრონს ქვეყანაში თავი მოჰქონდა—მეც ქვეყანაში ვარ, ციხის პატრონი ვარო, და დღეს კი ასე მივიწყებულია ყველასაგან. ბევრი გამვლელ-გამომვლელი არც კი კითხულობს—ეს რა ციხეაო. ბევრი ამხანაგი გყავს მეთქი, წავჩურჩულე ლარაშის ციხეს და მოვშორდი... დიაღ, ყოფილა დრო, როცა აქაც სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა... გავედით ხელადულას საქანელა ხიდზედ, ლაშქადურას ხიდზედაც და შევედით ს. ლენტეხში, ჩვენის ილარიონის და ივანეს (ჩვენი მგზავრობის წინამძღვარნი, ცხენების პატრონნი) სამშობლო სოფელში. აქ მშვენიერი შენობები ვნახეთ—სამინისტრო სკოლისა და სოფლის სამმართველოსი. ს. ლენტეხის ასწვრივ ლაშქადურას მარცხნივ მდებარებენ სოფლები: კახურა, მესირი და სხვ. ქალი და კაცი გამოიფინნენ გზის პირად და გვიყურებდნენ, გვედიმებოდნენ და სალამს გვაძლევდნენ მხიარულებით. სოფელ ლენტეხში და ცხენის წყლის შეერთება სოფლებში წმინდა ქართულად ლაპარაკობენ. სახნავ-სათესი მიწები აქ ნაკლებად არის. გავიარეთ ს. ლექსურა, ს. მელური; შევყევით ცხენის წყლის მეტად ვიწრო კლდოვან ხეობას. აქ ისრეთის მრისხანებით მოხუვის ცხენის წყალი, რომ ლაპარაკი გვიჭირდებოდა, ერთმანეთისა არა გვესმოდა რა. გაღმა-გამოღმა თვალუწვდენელ კლდოვან მთებზე აურიდია ძვირფასი ტყე: ფიჭვი, ნაძვი, მურყანი, წიფელი, დათვის თხილა და სხ. ოც-და-ხუთ საჟენიანი ხე წვეთივით დასახერხი ხე დაიმორება რისთვისაც გნებავს, მაგრამ აქაურის ძვირფასი ტყეების შეუბრალებელი მტვერი-ქარიშხალი და თოვლი ყოფილა: ერთიც და მეორეც ასახიჩრებს მშვენიერ ხეებს—ან ძირიანად ჰგლეჯს, ან ტოტებს ამტვრევს. გადაქცეული ხე სხვა ხეებს ამტვრევს, ძირიანად ჰგლეჯავს და იხრდება ამოდენა სიმდიდრე. ორივე მხრიდან მაღლა კლდეები ზვავდება და ცვივა ცხენის წყალში. ამიტომ ქართლში თუ ერთი ორგან არის ჩვენი მეტივეების მაფრთხობელა ძაღლი კბილა, ძაღლის ენა (მტკვარში ამოშვერილი კლდეები), აქ ათასობით არის. თუ ეს კლდეები არა, ცხენის წყალი ძალიან კარგი ტყის საზიდი გზა იქნებოდა აქაც. როცა ადიდებულია, ცხენის წყალი მოუსვამს ხელს ამოდენა ხე ტყეს და მოაქვს ქვევით, ლენტეხისაკენ გამოსარიყად.

მივედით ს. ქვედა ჭველიერ საყდართან და გავედით დაძაბუნებულ ხიდზედ. აქ ცხენის წყლის ვიწრო კალაპოტი ფართოვდება და მშვენიერი ქართული ნახნავ-ნათესით შემკული ხეობა გადიშალა ჩვენ თვალწინ. აგერ, მაღლა ფერდობებში მერცხლის ბუდესავით მაჰკვრიან აქა-იქა ორ-ორი, სამ-სამი სვანი თავის ციხე-კოშკებით და სახლკარბინადრობით, უფრო ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზედ. წვრილი სოფლებით მოფენილია ეს მხარე. გაუჩეხიათ დაბურული ტყე და სახნავ—სათიბად უქცევიათ. ასე გამწკრივებულია სოფლები—შთვილი, ბულეში, საჯალდანა, ლაულა და სხ. ამ სოფლების მშვენებას შეადგენს თეთრი, კოხტად ნაგები მაღალი კოშკები.

მივედით ზედა ჩოლურში, სადაც ვრცელ შენობას აშენებდნენ საეკლესიო სამრევლო სკოლისათვის *). იქვეა ჩვენებური სახლი სოფლის სამმართველოსი აქ ხალხი ჩივის მამულის სივიწროვესა. ერთს მტკაველს ვერ ნახავთ ველიან ადგილს, რომ შემოღობილი არ იყვეს სახნავად, ან სათიბად. აქ ქერები ჯერ შემოსული არ იყო.

მამასახლისისაგან **) გავიგეთ, რომ დაშხეთის ბლაღოჩინი მღვდელი იოანე მარგიანი თურმე გველოდებოდა აქ. ამ მივარდნილ ქვეყანაში პატიოსანი ბლაღოჩინნი—გერსამია, მარგიანი და ნიჟარაძე წარმომადგენელნი არიან იმ სანეტარო კაცთა, რომელთაც მაცხოვარმა რჩეულ მცირედთა გუნდი უწოდა. მამა ბესარიონ ნიჟარაძე და მ. ი. მარგიანი სვანეთის ნამდვილნი შვილნი არიან, აქ დაბადებულნი, აქ აღზრდილნი (უშგულ-მუჟალში), სიხარულით შეჰფრფიან მგზავრებს, უხარიანთ, რომ მათი საყვარელის სამშობლოს სანახავად მოდის ვინმე. თავს ევლებიან მგზავრსა და აღარ იციან, რითი და როგორ ასიამოვნონ მგზავრსა, როგორ გაუადვილონ მგზავრობა. აი აქ დაგვიხვდა მამა მარგიანი და გაგვწიეთ პატივცემულის თ. ალი გარდაფხაძის სასახლისაკენ. თ-დი ალი შინ არ დაგვიხვდა. გადაღმა სვანეთიდგან ***) მოეწერა თურმე დედისათვის—ამა და ამ მგზავრებმა რომ გამოიარონ, მიიწვიე სახლში და კარგად გაუმასპინძლდიო. იქნებოდა სადამოს რვა საათი, რომ მაღალ ვრცელ ქვითკირის გალავანში შევედით და ჩამოვხდით ცხენებიდგან. ამისთანა გალავნები ქართლში ბევრია—ამილახვრიანთი, მუხრნიანთი, ერისთვიანთი და სხ. გალავანს გარეთ ვრცელი სახნავ-სათესი და სათიბი ველია ცხენის წყლის პირამდე, ზურგს უკან აყუდებული ტყიანი მთა აკრავს. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში დგას უშველებელი ოთხ-კუთხი ერთად-ერთი ციხე-კოშკი, შავად გამურული. გალავნის კედლების ისწვრივ აღმოსავლეთ დასავლეთით წამოდგმულია მშვენიერი ბალკონიანი სახლები, ერთმანეთთან შეერთებულნი დახურული აივნით. ასე, სამოცი წლის ქალბატონი დიასახლისი მოგვეგება და ქართველურად გაგვიმასპინძლდა.

აქ სასიამოვნო იყო სვანური სიმღერა „დიდება მთავარ-ანგელოზებსა", გრაფოფონში ჩაძახილი. გამაკვირვა, გამაოცა ამ სიმღერამ: ნამდვილი ქართლური კილო, ქართლულის მოძახილით და ბანით, ძალიან წააგავს „გლესავ, გაგლესავ. ნამგალო"-სა და „ივნანას"-ს. ყურთა სმენად გადვიქეცი. კილო ისე არა, როგორც ბანი და მოძახილი გამიკვირდა: იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმ-რაჭაში საერო-საეკლესიო კილოებში ბანი და მოძახილი სრულიად სხვა რიგად მისდევენ პირველ ხმასა და საერთო არა აქვსთ-რა ქართლურ ბან-მოძახილთან.

მღ. პ. კარბელაშვილი.

**) სწორედ ამ ადგილსვე ისადილა 25 ივლისს 1853 წ. პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ. აქვე სადილობდნენ თურმე ძველად სვანეთში მიმავალნი მღვდელთმთავარნიც.

*) ასე თხუთმეტი ვერსის ზევით ს. ხელადე მდებარეობს და სახელი მისგან დაჰრქმევია ამ მდინარესა.

*) 120 თუმანი უჯდება სოფლის საზოგადოებასა.

**) აქ, როგორც ძველად საქართველოში, სამასპინძლო ისევ ძალაშია: თვითოეული კომლი მოვალეა მამასახლისს ერთხელ-ორჯელ გაუმასპინძლდეს რიგ-რიგით წელიწადში, ასე რომ მთელ საზოგადოებაში ვერავინ აიცდენს ამ ხარჯსა.

***) მთელი სვანეთის ბოქაულია.

ჩვენებური ამბები

სოფ. მარიამჯვარი (გარეთ კახეთი). სოფელი მარიამჯვარი მდებარეობს ტფილისის მაზრაში; საგარეჯოდამ 7 ვერსი იქნება. მის გარშემო საბატონო ტყეებია, რომლებიც ეკუთვნის თავ. მაყაშვილებს და ჩარქეზიშვილებს. სოფლის მახლობლად ორი ვერსის მანძილზედ ვეძა ამოდის. ამ ვეძას ასმევენ საქონელს სოფლელები, პურის საცხობლადაც ხმარობენ იმ წყაროს, ასე რომ მარილის ყიდვა თითქმის არა სჭირდებათ. ამ ვეძის გარშემო ორას დესეტინამდე ამ ბოლოს დროს შეიძინა საგარეჯოს მცხოვრებელმა სამსონ გულისაშვილმა. ამ უკანასკნელმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ ვეძას და მცოდნე კაცებს უჩვენა. როგორც ესენი ამტკიცებენ, ამ ადგილას მარილის მადანია და ძლიერ კარგი ხარისხისაც. გულისაშვილი ამ დღეებში აპირებს ალზევანს წასვლას, რომ იქიდამ დახელოვნებული ოსტატები მოიყვანოს და საცდელი გვირაბი გასჭრას.

ვანო.

რაჭა. ყოველის მხრიდან გაისმის, სიძვირის გამო რაჭაში კაცს არ ეცხოვრებაო და მართალიც არის. ხალხი თუმცა მეცადინე და შრომის მოყვარეა, მაგრამ მეტი მივიწყებული და მივარდნილი კუთხეა, ყოვლისფრით უკან ჩამორჩენილი სხვა მეზობელ ქვეყნებს. რაჭაში არ არის სწავლა-განათლება, არა აქვთ გზა და კვალი და ყოველივე ამ მიზეზების გამოისობით ხალხი მეტის-მეტად ღარიბი და ღატაკია. ათში იქნება ერთს მოუვიდეს სამყოფი წლის სარჩო და ცხრა ნაწილი მუდამ შეუბრალებელ მედუქნე-მიკიტან-ვაჭრების ხელში ვარდება. თითქმის ყოველი მოხელე და ვაჭარი სუკიანი ხალხია და, თუ გინდ სრულიად შეუგნებელიც იყოს, მაინც ჭკვიან კაცს უწოდებენ. წარმომადგენლებიც ისინი არიან და სოფელსაც ისინი ატრიალებენ, რასაკვირველია, თავიანთ სასარგებლოდ და არა სოფლის საკეთილდღეოდ.

ფ. გორდეზიანი.

კავკასია

ქ. ყარსი. ყარსის მდებარეობა მთაგორიანია. ყარსი პირველ ბუნებრივ სიმაგრედ ითვლება მთელ კავკასიაში. მისი ცვალებადი ჰაერი ბევრ ღირსებას ართმევს, როგორც ქალაქს: ზაფხულში სასტიკი სიცხეები, მუდამ დღე ქარი, მტვერი და დრო-გამოშვებით სეტყვა. ისეთი მტვრის ბუქი დადგება ხოლმე, რომ გარეთ გამოსვლა შეუძლებელია. ზამთარში თუმცა თოვლი დიდხანს არ გასტანს, მაგრამ სასტიკი ყინვები, რომელიც 40/°R. ადის, ცხოვრებას აძნელებს; უფრო დაბალის კლასის ხალხი მეტად გაჭირვებაში იმყოფება ყინვებისაგან. ადამიანის მსხვერპლიც ხშირია. მაგ. წელს იანვარ-

ფელეტონი

დრამატიული პოეზია.

ქართულ თეატრის აღორძინება დამოკიდებულია ქართულ დრამატიულ პოეზიის გაფურჩქვნა—აღყვავებაზედ. რამდენიც უნდა ვსწეროთ და ვილაპარაკოთ არტისტთა მოწვევასა, მათ მუდმივ ჯამაგირებსა, პენსიასა და რეჟისურაზედ, გარდერობ-დეკორაციებსა, თუ სხვა რამ გარეგან მოწყობილობაზედ,—ბევრი არაფერი გამოვა, თუ იმავე დროს უმთავრესი ყურადღება არ მივაქციეთ სულს თეატრისას—რეპერტუარს. მადლიანი პიესები თვით შექმნის არტისტებსა და სასურველს მოწყობილებას. უხეირო პიესები-კი, რაც უნდა ზედ-მიწევნით ითამაშონ და მდიდრულად მოაწყონ, ვერრას შეჰმატებს ხელოვნებასა და დამსწრე საზოგადოებას.

ეს რამდენიმე წელიწადია ვესწრებით ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრებას და ერთხელაც არ შევსწრებივართ, რომ რეპერტუარის გაუმჯობესობაზედ აღძრულ იყოს ჯეროვანი მსჯელობა და ამ მხრივ რამ გარდაწყვეტილება მიეღოთ, მაშინ როდესაც უბრალო ანგარიშის განხილვასა, სათეატრო სადგომის დაქირავებასა და არჩევნებს უნდებოდა მთელი კრება.

დრამატიულ ავტორთა მისაზიდ ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნიათ პრემიების დანიშვნა, რასაც ყოველ-წლივ აცხადებენ, მაგრამ აქამდის ერთი რიგიანი პიესაც არ შეუძენიათ. პრემიები და საზოგადოდ ნივთიერი ჯილდო ძალიან ნაკლებ მიიზიდავს ნიჭიერს მწერლებს. აქ საჭიროა უფრო ზნეობრივი ძალა, გამხნევება—წაქეზება და ის ნიჭის მზრდელი ატმოსფერა, რომელიც არა ტრიალებს ჩვენის თეატრის გარშემო.

რა არის კარგი პიესა? რა გვარის პიესის შექმნაა სასურველი ხელოვნებისა და საზოგადოებისათვის?

ეხლანდელ პიესებისაგან, როგორც სხვა ყველა ხელოვნურ ნაწარმოებისაგან, თხოულობენ ცხოვრების მოვლენათა უმეტ-ნაკლებოდ დასურათებას, ადამიანთა ყოფა-მდგომარეობის გამოხატვას. პიესაში უნდა ჰპოვოს ადამიანმა ყოველ დღიურ ჭირ-ვარამის ახსნა და განმარტება. სცენაზედ უნდა ჰმოქმედობდნენ „ჩვეულებრივი ადამიანები" თავიანთ პაწია ღირსება-ნაკლულევანებით. ამას ეძახიან რეალიზმს, რომლის მუდმივმა ქადაგებამ ეხლანდელ მატერიალისტ-კრიტიკოსების მიერ, ყურები გამოგვიჭედა და დღევანდელ მწერლობაზედაც იმოქმედა. ეხლა სწერენ კიდეც „პირდაპირ ცხოვრებიდან" აღებულს სცენებს, პიესებს, რომელთაც არ ატყვიათ შემოქმედების ნიჭი და ხელოვნებისა არა სცხიათ-რა. საჭიროა გაფანტვა ამ დიდის ხნით გაბატონებულ შემცდარ შეხედულებისა და გამორკვევა ნამდვილის გზისა რომლითაც მიდის ხელოვნება განვითარებისა და სისრულისაკენ.

ადამიანი ცხოვრებაში გარშემორტყმულია უსამართლობითა და ბიწიერებით; ყველას უნდა თავი დააღწიოს ამ უკუღმართობასა და იხილოს უკეთესი ცხოვრება; ადამიანის სული მიისწრაფვის იდეალისაკენ, რომლის ხატებას ხელოვნებაში ჰპოვებს. აბა, რა საიტერესოა მისთვის სცენაზედაც უყუროს იმ ჩვეულებრივს უფერულობას და ჭუჭყიანობას, რომელმაც ცხოვრებაშიაც თავი მოაბეზრა, და არ ამოძრავებს მის სულსა და გულს? არა, მან უნდა ჰპოვოს სცენაზედ ამაღლებული სათნოება, თავ-განწირული მეგობრობა, მხურვალე სიყვარული, შეუდრკალი ბრძოლა და ყველა ის სანატრელი მდგომარეობა, რასაც მოკლებულია ცხოვრებაში. თვით ბოროტება და უკუღმართობა იმდენად გამძვინვარებული უნდა წარმოუდგეს თვალწინ, რომ ზიზღი იგრძნოს და ბრძოლის სურვილი აღეძრას. ერთის სიტყვით, დრამატიულს ნაწარმოებში ნამდვილი გმირები და გმირული მოქმედება უნდა იყოს გამოხატული.

— საიდგან აიღოს პოეტმა საგმირო საქმეები, თუ ცხოვრებაში არ მოიპოვებაო?—მეტყვით. მართალია, კაცი იშვიათად ჰხედავს გარშემო საგმირო და მისაბაძავს მაგალითებს, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდეს, ჩვენს ცხოვრებაშიაც და სხვისაშიაც ბევრია შესანიშნავი მოვლენა და გმირობა. პოეტმაც უნდა მოსძებნოს და გულ-დადებით აღნიშნოს ასეთი მაგალითები. გმირები უფრო ძველს დროში იჩენდნენ თავს. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ საუკეთესო დრამა-ტრაგედიები ისტორიულია. გარნა ჩვენს დროშიაც არიან გმირები და საგმირო საქმეებსაც ცოტას არა ვხედავთ.

განა გმირულად არ ებრძოდნენ ერთი მუჭა ტრანსვალის გლეხები და მათი წინამძღოლნი—დევეტი და ბოტა—ინგლისის რიცხვ-მრავალ ჯარს? ამ ჟამად ბალკანეთში ხომ ყოველ დღე თავს იჩენს გმირობა. განა გმირი არ არის ბორის სარაფოვი, რომელმაც მიიზიდა საუკეთესო მაკედონელი ახალგაზდობა დი მტკიცედ გადასწყვიტა: ან სამშობლოს განთავისუფლება ვერაგ ოსმალოს ხელისაგან, ან ბრძოლის ველზედ სახელოვანი სიკვდილიო?

— ეგ ყველაფერი უცხოეთშია და არა საქართველოშიო,—იტყვიან ჩვენში. ეს მაგალითები იმიტომ დავასახელე, რომ ზედ-გამოჭრილია ჩვენზე. ასეც არ იყოს, განა გმირობით და თავის განწირვით სავსე არ არის ეხლანდელი მოძრაობა? შეიძლება თუ არა ყველა ამის სასცენოდ შემუშავება,—ეს სხვა ანგარიშია. ნიჭი ყოველგან იპოვის გასასვლელს გზასა. მისთვის სხვა კანონი არ არსებობს, გარდა ხელოვნების კანონისა.

დიაღ, დრამატურგმა უნდა შეჰქმნას გმირები. და რამდენად სრულად დაჰხატავს ამ გმირის სულის კვეთებას, ჩააყენებს გამოუსვლელს მდგომარეობაში და გვაჩვენებს მის თავდადებულს ბრძოლას ათასგვარ დაბრკოლებათა მოსასპობლად, იმდენად მეტად დაატყვევებს მაყურებელთა გულს, იმდენად ნიჭიერი იქნება ავტორი და ხელოვანი მისი ნაწარმოები.

„სუყველაფერი, ან არაფერიო"!—ამბობს იბსენის დრამატიულ პოემის გმირი ბრანდი, და ასეთია დევიზი ყოველის გმირისა. გმირს არ შეჰფერის შუაგზაზედ შეჩერება. რაც უნდა ძნელი საქმე დაიწყოს, ბოლომდის თუ არ დაათავა, ისე ვერ მოისვენებს მისი ბუნება. ნახევარკაცად ცხოვრება გმირს არ შეუძლიან. ცოცხალ-მკვდრად ყოფნას არ-ყოფნა ურჩევნია.

შექსპირისა და შილერის დრამებში დასურათებული გმირები თვალწინ გვიდგანან, ვით ცოცხალნი, და ჩვენს განკვირვებას იწვევენ. რათა? ადამიანის კარგი და ცუდი თვისებანი მათში უკიდურესად განვითარებულია და მაყურებელი უნებურად ადარებს მათ თავს და ჰგრძნობს, რომ მისი სული შეხუთულია, გრძნობა-დაჩლუნგებული და არ ძალუძს კარგს გაამარჯვებინოს, ცუდი დასთრგუნოს. გმირულს ტრაგედიებში გვაკვირვებს ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კეთილისა ბოროტთან, ერთის მიმართულებისა მეორესთან, სულისა ხორცთან. თეატრში გავიწყდება ჩვენი პაწაობა, უძლურება და თითქოს ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას ამ გმირთა ცხოვრება-ბრძოლაში.

ამისათვისაა, რომ ყველა სიმბოლიური პიესა არ ჩაითვლება ჭეშმარიტ ხელოვნურ ნაწარმოებად, და კლასსიკური დრამატურგები უფრო ადვილ-გასაგებია, ვიდრე ეხლანდელი სიმბოლისტები, თუმცა ეს უკანასკნელნი სუჟეტებს უმეტესად დღევანდელ ცხოვრებიდან იღებენ. ნიჭიერი პოეტი ჰქმნის იდეალურს, მაგრამ მასთან სისხლ-ხორც-შესხმულს გმირებსა, რომელთა ლაპარაკი და მოქმედება ნამდვილია, ყველასათვის გასაგები და თვალსაჩინო. თუ დრო-ადგილისა და გარემოების მიხედვით იწერება პიესა იქ, სადაც ავტორი პირ-აკრულია და „მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო" ვერ გამოუთქვამს გულის ნადები, მაშინ კიდევ შეიძლება სიმბოლების ხმარება, მაგრამ რა საჭიროა ქარაგმით წერა თავისუფალს ქვეყანაში, სადაც ყველას შეუძლიან თავისი აზრი და რწმენა საჯაროდ და თამამად გამოსთქვას: შეიძლება რომელიმე მომქმედი პირი რაიმე განყენებულ აზრის გამომხატველი იყოს, მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა ვნახოთ მისი ტანჯვა თუ მხიარულება, მისი სიკვდილ-სიცოცხლე, ერთის სიტყვით მისი ადამიანობა.

პიესა, ისტორიულია იგი, თუ თანამედროვე, მაშინ მიიზიდავს ხალხს და აამოძრავებს საზოგადოებრივს ცხოვრებას, როდესაც ატყვია უტყუარი ბეჭედი პოეტის შემოქმედებისა—ხელოვნურია და მოწინავე აზრთა მატარებელი. თითოეული წარმოდგენა შექსპირისა და შილლერის დრამებისა მთელი დღესასწაული იყო ინგლისსა და გერმანიაში, როდესაც საზოგადოებრივი ძარღვი ძლიერად იწყებდა ცემას.

საფრანგეთის საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო ვიქტორ ჰიუგოს დრამის „ერნანის" პირველ წარმოდგენის დროს-როგორც პოეტის ბიოგრაფოსი გადმოგვცემს, ნამდვილი ბრძოლა მოხდა ორ მი-

ში ორი დარაჯის (ჩასვოი) გვამი იპოვეს გაყინული.

რაც შეეხება ყარსის სანიტარულ მდგომარეობა-სიწმინდავეს, ვერაფერ სანუგეშო მდგომარეობაშია: მიწის შენობები, მიწისავე სახურავით, შიგ სინოტივე; ნაგავს ჰყრიან ან სახლის წინ ქუჩაზე და ან მდ. ყარს-ჩაისში; ამიტომ ჰაერი მუდამ მძიმე, სიბინძურით გაჟღენთილი,მავნებელია, თვით სახელიც გვეუბნება (ყარს), რომ იქ სისუფთავეს ნაკლები ადგილი უჭირავს.

მცხოვრებთა მეტ ნაწილს შეადგენენ სომხები (ამათ ხელშია ვაჭრობა), თათრები, ბერძნები, რუსები და ქართველები (ეს უკანასკნელნი სამსახურში მყოფნი); სანოვაგე ყოველნაირია და იაფიც.

საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის ცოტა რასმეს ვიტყვი სამკითხველოზე. ბევრ ალაგას მინახავს სამკითხველოები ქალაქებში, სოფლებში, მაგრამ ყარსის სამკითხველოსავით მდიდარ და მოწესრიგებულ სამკითხველოს პირველად ვხედავ. რა გაზეთი ან ჟურნალი, დღიური ან თვიური გამოცემა გინდათ, აქ არ იყოს: რუსული, სომხური, ქართული („კვალი“ „ცნ. ფურცელი“). ყველა გაზეთები ცალკ-ცალკე დევს მაგიდაზე: იქვე განცხადებაა გაკრული: „გთხოვთ გაზეთები ერთი-მეორეზე არ დასდოთ“, — „პაპიროსის წევა და ლაპარაკი აღკრძალულია“ და სხვა. და ყველა შემომსვლელი წესისამებრ იქცევა და არა ისე, როგორათაც ჩვენში.

იმერეთის ერთ-ერთ სოფლის სამკითხველოში შევედი, სადაც რამდენიმე ახალგაზდას (ქვეყნის ბურჯთ) მოეყარა თავი, მიუხედავად კედელზე გაკრულ განცხადებისა, პაპიროსის კომლით იყო სავსე ოთახი და „სპორობდნენ“, ჰყვიროდნენ და უშვერ სიტყვებსაც-კი სთავაზობდნენ ურთ-ერთს. მოვუჯექი მაგიდას და დავიწყე გაზეთის კითხვა, მაგრამ რას წავიკითხავდი, როდესაც ისევ ყვიროდნენ „მესპორენი“. ცოტა კიდევ დავიცადე და შემდეგ მივმართე თხოვნით ლაპარაკი შეეწყვიტათ და განცხადებაზე მივუთითე; ამაზე გაცხარდნენ, როგორ დავჩუმდეთო და ერთმა მათგანმა (ალბათ თავ-მოყვარე წეს-რიგის დამცველმა(?) ჩამირუსულა: „Безъ замѣчаній, пожалуйста, прошу не указывать“-ო. რას ვიზამდი, ავიღე ქუდი და გარედ გამოვედი.

ყარსის სამკითხველოში შემსვლელი იხდის 2 კაპ., ხოლო საწევრო გადასახადი თვიურად 30 კ.

ყარსიდგან დასავლეთით, 5 ვერსის სიშორეზე, არის ს. ესტონსკოე, სადაც ესტონელები სცხოვრობენ და შესამჩნევია მით, რომ იქ არის საპონის სახარშავი ქარხანა ყოველნაირ ამისთვის ხელსაწყო მაშინებით და ოჯახის ყველა წევრი მუშაობს; პატარა ბავშვებსაც-კი მიჩენილი აქვთ საქმე: ასუფთავებენ საპონს და აწყობენ ხის ფიცრებზე. დალოცვილ ჩვენს ქვეყანაში ბავშვები-კი არა დიდებიც უკადრისობენ მუშაობას, „უპერჩატკოთ“ ხელის კანი დაგვისკდება და უფერუმარილოდ სილამაზე მოგვაკლდება, გავშავდებითო!

დ. ქარცივაძე

რუსეთი

განზრახვა აქვთ, იაროსლავის იურიდიული ლიცეი, დემიდოვის მიერ დაარსებული, უნივერსიტეტად გადააკეთონ.

— შეიმუშავეს პროექტი დიდის და უზარმაზარის პეტრეს სასახლის აშენებისა. პეტრეს სასახლე იქნება დანიშნული მეზღვაურობისა, ვაჭრობისა და მრეწველობის განსავითარებლად. სასახლე დაჯდება ვარაუდით მილიონ ნახევარი მანეთი.

— ნება მისცეს ხატვის მასწავლებელს მ. მილოვს დააარსოს ნიჟნი-ნოვგოროდში რეალური სასწავლებელი. ამ ქალაქში ძალიან ნაკლებად იყო სასწავლებლები ყოველწლივ ასზედ მეტი მსურველი სწავლისა რჩებოდა მიუღებელი სასწავლებელში ადგილის უქონლობის გამო, თუმცა ყველა კარგად იჭერდა მისაღებს ეგზამენს.

— შესდგა პროექტი ახალის წესდებისა ხელოსანთათვის. ამ პროექტის განსახილველად კომისია დაარსდა. კომისიამ 4 სეკდემბერს დაიწყო თვისი მუშაობა და მალე დაათავებს ამ პროექტის განხილვას.

— ეგზამენები სამედიცინო კომისიაში მისაღებად ქალთაგან ექიმობის ხარისხისა ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში გათავდება 15 ნოემბერს. კომისიის თავმჯდომარედ არის პროფესორი დოგელი. 143 თხოვნაა მიცემული, მათ შორის პარიჟის უნივერსიტეტში ნასწავლის ქალის ექიმისა.

— „მართებლ. მოამბე“ იუწყება, რომ 20 აგვისტოს, საღამოთი, ქ. გომელში, ბაზარში ერთს გლეხს და ურიის დედაკაცს ჩხუბი მოუვიდათ. ეს ჩხუბი ბოლოს ხელჩართულ ბრძოლად გადიქცა ებრაელთა და რუსთა შორის. როცა პოლიცია ჩაერია წესრიგის აღსადგენად, ებრაელებმა ისროლეს ქვა და რევოლვერები დასცალეს; პოლიციელებმა ჰაერში დასცალეს რევოლვერები. ამ დროს ერთი რუსი დასჭრა ებრაელმა დანით კისერში, ერთი ებრაელი მსუბუქად დაიჭრა ტყვიით და შვიდი კაცი ქვით დაშავდა. 1 ენკენისთვეს ხელახლად გაჩნდა ჩხუბი. რუსის მუშებმა რომელიც 24 აგვისტოს მომხდარ ამბებით იყვნენ აღელვებულნი, მოახდინეს არეულობა და ებრაელთა სახლებს და დუქნებს ნგრევა დაუწყეს; შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიჭრა ორსავე მხრივ. წესიერების აღსადგენად გამოიწვიეს ჯარები, რომელსაც ებრაელებმა სროლა დაუწყეს; ჯარმაც პასუხი გასცა თოფის სროლითა, რის გამოც ბრბო დაიშალა და საღამოჟამზე წესიერება აღდგენილ იქმნა. როგორც მოგილევის გუბერნატორის შეკრებილ ცნობებიდან სჩანს საავადმყოფოებში მოსარჩენად არიან დაჭრილნი: 5 ქრისტიანი და 9 ებრაელი; მოკლულია ოთხი ქრისტიანი და 2 ებრაელი.

უცხოეთი

მაკედონია. როგორც გამოირკვა, მეამბოხეთა დამამშვიდებლთ—ალბანელთა და ოსმალთ—ისე გაუნადგურებიათ ადრიანოპოლის ვილაიეტი, როგორც მონასტირისა. ადრიანოპოლიდგან მოყოლებული მალკო ტირნოვასა და ყირხ-ქილისემდე ისე აუოხრებიათ ყოველივე, რომ ცნობაც-კი შეუძლებელია ამ ადგილებისა. აკლებულია მეტად მდიდარი დაბა ენიჯე, განთქმული საუკეთესო ხარისხის თამბაქოთი. განადგურებული და გადამწვარია სოფლები კურონოვო, ერეკსლერი და ალმაძიკი; გარდა ამისა ალმაძიკში ქალაქის მოედანზე თავი მოჰკვეთეს 220 მამაკაცს თავიანთ ცოლშვილის თვალწინ, რომელთაც ძალა-უნებურად აყურებინეს ამ შემზარავ სურათისათვის.

ოსმალთა ახალ გამარჯვების შესახებ ამ უკანასკნელ ხანად აღარა ისმის-რა. ვასილისკოს მიმავალ ალბანელ რედიფთა რაზმს მოულოდნელად თავს დაესხა ხეობაში მეამბოხეთა ჯუფთი; რედიფები ძლეულ იქმნენ. ადრიანოპოლს 300 კაცი მიუყვანიათ დაჭრილი.

— მეამბოხენიც სასტიკ სამაგიეროს უზღავენ ოსმალთ. ამას ცხად ჰყოფს მეამბოხეთა სარდლის დავიან გრუევის ბრძანება,—ხელს ნუ ახლებთ არნაუტებისა და ოსმალების დედა-კაცთა და ბავშთა, და ნურც მშვიდ მცხოვრებთ შეეხებითო.

უნდა გახსოვდეთო—ამბობს გრუევი—რომ ჩვენი მიზანი თავისუფლებაა და არა ხალხის ჟლეტაო.

სარდალი უკრძალავს მეამბოხეთ ალბანელთა და ოსმალთა სოფლების ცეცხლით განადგურებას, თუმცა ოსმალნი ჯარის-კაცნი სრულიადაც არა ჰზოგავენ ბულგართა სოფლებსაო.

სერბია. ნიშში დაპატიმრებული ოფიცრები ბელგრადს გაგზავნეს და საპყრობილეში ჩასვეს; საბუთები და გამოძიების ოქმები სამხედრო მინისტრს გადასცეს.

უკმაყოფილოთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. პოზარევაცის მეცხოვნე ოფიცერთა უპრავლესობას—როგორც გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ ბელგრადიდგან—თანაგრძნობა განუცხადებია ნიშში დაპატიმრებულ ამხანაგთათვის; ნიშიდგან დიდის შტაბით გაუგზავნიათ პოზარევაცს პოლკოვნიკი საქმის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასაპატიმრებლად. ბელგრადში ჰშიშობენ.—შეიარაღებული შეტაკება არ მოუხდეთ „ძველ და ახალ შეთქმულთაო“- მეფე ყოყმანობს, მაგრამ დიმიან პოპოვიჩი, მისი უფროსი ადიუტანტი, რომელიც მეფე-დედოფლის მკვლელ ოფიცერთა ხელმძღვანელად ითვლება, სარგებლობს მეფის სუსტ ხასიათით და ყველაფერს ათმობინებს. სტუდენტთა ყრილობა და დემონსტრაციებიც ივნისის მეამბოხეთა დასმა მოახდინაო.

ბევრი სერბი მიდის უნგრეთსა და რუმინიას, რადგან ჰშიშობენ, რომ ეხლაც, როგორც მილანის მკვლელობის განზრახვის შემდეგ, დიდ-ძალი ხალხი იქნება დაპატიმრებულიო.

იაპონია. რადგან მანჯურიიდგან ჯარების გამოყვანა დაგვიანდა და ახალი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ჩინეთსაო—ამბობს იაპონური გაზეთი „ტოკიო-პიჩი-ნიჩი“—ყველა სახელმწიფოებმა რუსეთს მიაპყრეს უმთავრესად ყურადღებაო. ჩინეთის მთლიანობის დაცვა და თანასწორ უფლებათა მოპოვება მის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაში—უმთავრესი პრინციპია ინგლისის, ამერიკისა და ჩვენის პოლიტიკისა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი ერთის აზრისაა, ეგრედ წოდებულ, მანჯურიის საკითხის შესახებ, რომელიც მეტად საგულისხმო და მწვავე საკითხად გარდაიქცა ამ უკანასკნელ ხანად.

როდესაც ვინმე ჩინეთის მთლიანობაზედ ჩამოაგდებს სიტყვას, ჩინეთის იმპერიის მთელს სიგრძე-სიგანეს ჰგულისხმობს. ნამდვილად კი გერმანია, შანტუნგის პროვინციის მოიჯარადრე, მხოლოდ ამ პროვინციას შესცქერის და საფრანგეთი კიდევ—იუნნანის მიდამოებს.

ამიტომ, როცა მანჯურიის შესახებ ლაპარაკობენ, შეცდომით ჰგონიათ, ვითომ მთელის ჩინეთის დანაწილებას ჰლამობდეს ვინმე.

ჩინეთ-იაპონიის ომიანობის შემდეგ, ევროპის დიდი სახელმწიფოები ისე შეჰყურებდნენ ჩინეთს, თითქოს დამოუკიდებლობა დაეკარგოს; ყველამ მოიწადინა ხელის მოთბობა და ჩაერია საქმეში.

მართალია, ჩინეთის სახელმწიფო დაძველდა, დასუსტდა და შესდგა განვითარების ერთს წერტილზედ, მაგრამ იმდენად დამოუკიდებელი კია, რომ დაიცვას თავისი უფლებანი მანჯურიასა და სამხრეთ პროვინციებზედ.

ჩვენ შეგნებული გვაქვს ესა და მიტომაც მხარში ვუდგავართ ჩინეთის თავისუფლების პრინციპს, მხოლოდ გვწადდა მისი კარი ღია ყოფილიყო თავისუფალ ვაჭრობისათვის.

ინგლისი და გერმანიაც, 1900 წ. 16 ოკდომბერს მომხდარ თათბირის შემდეგ, იმ პოლიტიკის გზას დაადგნენ, რომ ჩინეთის მთლიანობა დაცულ იქმნეს და არც მშვიდობიანობა დაირღვეს, თუმცა ამავე დროს სცდილობდნენ ჩინეთის ყველა ნავთსაყუდელთა კარი ღია ყოფილიყო უცხოელთა ვაჭრობისათვის.

მხოლოდ რუსეთი და საფრანგეთი არ თანაუგრძნობდა ამ პოლიტიკას. მათ სჯეროდათ ჩინეთის დარღვევა და განაწილება. საბუთიც ხელთა ჰქონდათ: გერმანიას იჯარით აღებული ჰქონდა კაო-ჩაი, ინგლისს—ვეი-ჰაი-ვეი, საფრანგეთს—კუანჩაუ, რუსეთს—პორტ-არტური და ტალიენვალი; მაგრამ მხოლოდ ეს იყო და ეს. ევროპის დიდი სახელმწიფოები საზოგადოდ იმ აზრისანი იყვნენ, რომ აღმოსავლეთით მშვიდობიანობა დაემყარებინეთ და ჩინეთის მთლიანობა დაეცვათ. ცხადია, რომ საერთა-შორისო პოლიტიკა უმაღლეს ადამიანურ მოსაზრებით იყო გამსჭვალული—დაეცვა ძველ იმპერიის დამოუკიდებლობა. მცირე ნაწილების იჯარით გაცემა თვით ჩინეთისათვისაც სასარგებლო იყო: ეს ეკონომიურადაც აძლიერებდა და ვაჭრობა-მრეწველობასაც ხელს უწყობდა.

ახალი, ბედნიერი ხანა მოევლინა ცისქვეშეთ იმპერიას, მაგრამ არა ჩრდილოეთით, სადაც ნელ-ნელა იზრდებოდა და იფურჩქნებოდა მანჯურიის საკითხი, რომელიც საერთა-შორისო საცილობელ საგნად გახდაო“.

ნარკვევი

ტფილისის ღამის თავ-შესაფარის გამგე ბ-ნი კლიმიაშვილი შემდეგს საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს გაზ. „ცნობ. ფურც.“-ში.

წარსულ 1902 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ტფილისის მეორე ღამის თავშესაფარში მოვიდა ღამის გასათევად 17-18 წლის უმაწვილი კაცი, სვიმონ ჯანუყვაძე. დაგლეჯილ, ჭუჭყიან ტანისამოსში, თითქმის ფეხშიშველი ახალგაზდა მოგაგონებდათ იმათ ამხანაგს, რომელთაც რუსები ბოსიაკებს ეძახიან. სახის გამომეტყველება და სიმკვირცხლე-კი სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენდა. უმაწვილს გამოვკითხე ვინაობა და აღმოჩნდა, რომ სიმონ ჯანუყვაძეს, ეროვნებით ქართველს (გურულს), სწავლა დაემთავრებია ორ-კლასიან სასწავლებელში, შემდეგ შეესწავლა ბუჰხალტერია და ბათომში სამსახურში

მართულებასა, ახალ და ძველ თაობასა, მამებსა და შვილებს შორის. ლოჟები დაიკავეს „უკვდავმა“ აკადემიკოსებმა და სხვა მხცოვანმა მოღვაწეებმა, ხოლო პარტერი—ახალგაზრდა მწერლებმა, მხატვრებმა, მეცნიერებმა და ახალ-თაობის სხვა წარმომადგენლებმა. ფარდა აიხადა თუ არა, შეიქმნა ერთი ვაი-უშველებელი: სტვენა, ყვირილი და ლანძღვა ერთის მხრით, და აღტაცების ტაში, ვაშა და ქება—მეორეთაგან. პიესა რამდენჯერმე იქმნა ზედი-ზედ წარმოდგენილი და, თუმცა ძველის მიმართულების დამცველნი ძალიან უშლიდნენ ხელს და არტისტებიც უგულოდ თამაშობდნენ, მაინც გაიმარჯვა „ერნანიმ“, გაიმარჯვა ახალმა მიმართულებამ. გაიმარჯვა ახალ-გაზდა პოეტმა, რომელსაც დიდნი მოღვაწენი სასაცილოდ იგდებდნენ და ერთს აკადემიკოსს ლემერსიეს კიდეც უთქვამს: „ვიღაც ჰიუგოები დაუსჯელად სჯღაბნიან ლექსებსაო!“ (სწორედ ამ ლემერსიეს ადგილი დაიჭირა შემდეგ ჰიუგომ უკვდავთა აკადემიაში).

ასეთი მოძრაობა და აზრთა შეჯახება გამოიწვია დიდებულ პოეტის ქმნილებამ. ასე უნდა აამოძრაოს საზოგადოება და განუცხოველოს აზროვნება ჭეშმარიტმა დრამატიულმა ნაწარმოებმა. პიესა უნდა ჩასწვდეს ადამიანის გულსა და გონებას, და მისი მიკუნჭული აზრი, ფიქრი, გრძნობა და ოცნება გააშუქოს, აამოქმედოს.

ჩვენში ამტკიცებენ, რომ საჭიროა სახალხო პიესა, სახალხო რეპერტუარის შექმნაო. რა არის „სახალხო პიესა“? მდაბიო ხალხის ცხოვრებიდან აღებული, უბრალოდ დაწერილი და ადვილად წარმოსადგენი პიესაო,—გეტყვიან. ამის მთქმელს, ეტყობა, არც ხელოვნებისა გაეგება-რა და არც ხალხის გონებრივ—ესტეტიურად განვითარებისა. ვის გაუგონია სახალხო და არა სახალხო პიესები, ან რომელს ქვეყანაში უნახავთ? ჭეშმარიტის ხელოვნების ნაწარმოები სახალხოცაა, საზოგადოც და საყოველთაოც. სახალხო თეატრის თქმა კიდევ შეიძლება, რადგან ამისთანა თეატრში მდაბიო ხალხი დაიარება (მუშები, ნოქრები, გლეხები და სხვ.), იმავე ხალხის შვილნი თამაშობენ და შესასვლელი ფასიც მცირეა, თორემ სახალხო პიესას რომელს უწოდებთ, ან ვინ იყო სახალხო დრამატურგი? თვით ჩვენს ტფილისის სახალხო თეატრში (კუკიაში, ავლაბარში) იმავე პიესებს არ აწყდება ხალხი, რასაც დიდს თეატრში თამაშობენ? ჩვენ თვითონ ვყოფილვართ მოწამე, როცა ხალხი თხოულობდა აზრიან პიესების წარმოდგენას, ყურადღებით ისმენდა კლასსიკურს დრამებს და კიდეც ესმოდა მათი აზრი და მნიშვნელობა. თუნდაც ყველაფერი ვერ გაიგოს, დიდებულ პოეტის რამდენისამე აზრის შეთვისება და მის მიერ შექმნილ მშვენიერ სურათის ცქერა არ სჯობია უხეირო ავტორთა მრავალ-სიტყვაობის თუნდ მთლად შესმენას და ხელოვნების პროფანაციის ყურებას?!

ძველს საბერძნეთში არისტოკრატია და დემოკრატია თანასწორად დაიარებოდა თეატრში და ისმენდა ესხილისა, სოფოკლისა და ევრიპიდეს ტრაგედიებს; ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ხალხი ვერ გაიგებსო, მაგალითად, პრომეთეოსის ტანჯვა-წვალებას (ცეცხლის ჩამოტანისათვის, ანტიგონას თავის განწირვას ძმის პატიოსნებისათვის და მედიას შურის-ძიებას სიყვარულის შელახვისათვის. რაღა საბერძნეთი—მთელის ქვეყნის ხალხს იზიდავს, ინტელიგენციასთან ერთად, კლასსიკური დრამები და დიდი გავლენა აქვს მის სულიერ განვითარებაზედ. სცდილობენ მხოლოდ ხალხს გაუადვილონ თეატრში შესვლა ფასების დაკლებით, ბილეთების დარიგებით, თუ სხვა რამ საშუალებით.

დიდებული დრამატურგები ხშირად ხალხის ცხოვრებიდგან იღებდნენ სიუჟეტებს, როგორც კომედიებისა, ისე ტრაგედიებისათვის, რადგან მდაბიოთა შორისაც არა იშვიათია გმირული ხასიათები და საგმირო საქმენი. ეგ მხოლოდ ცრუ კლასიკური მწერლები უტრიალებდნენ გარშემო მეფეთა, მათ კარისკაცთა და თავად-აზნაურთა ცხოვრებას. თავ-დაუჭერელი ვნებათა-ღელვა, საშინელი ტანჯვა, მედგარი ბრძოლა იყოს და პოეტისათვის სულ ერთია, ღარიბთა ქოხ-ფაცხებში ენთება ცეცხლი, თუ მდიდართა ციხე-დარბაზებში.

ამაოდ სცდილობენ პისარევისებური კრიტიკოსები თავისის ნივთიერ „სარგებლობის“ ქადაგებით ჩაუქრონ ღვთაებრივი ნაპერწკალი პოეზიის მოციქულებს: პოეტი შეუჩერებლად განაგრძობს თავისს შემოქმედებას, ღრმად დარწმუნებული, რომ ხელოვნების სამსახური იგივე ხალხის სამსახურია.

რასაკვირველია, კარგს პიესას კარგი მოთამაშეც უნდა. სცენაზე მოუმზადებელ მსახიობის უშნო პრანჭვა-გრეხაზე უსიამოვნო სანახავი არაფერია და ამას ათას წილად პიესის წაკითხვა სჯობია. მე პირადად რაღაც ეჭვსა ვგრძნობ, როცა გავითვალისწინებ მსახიობთა თამაშობას გმირთა როლებში. პოემისა და დრამის კითხვის დროს ნათლად წარმომიდგება გონებაში მათი სახე, მათი მოძრაობა, მოქმედება; მე აქ ოცნების თვალით ნამდვილს გმირებსა ვსჭვრეტ და მათი სიტყვები თითქოს ყურში ჩამძახის. და როგორ უნდა გასწიოს მათი მაგიერობა ამა თუ იმ უბრალო მსახიობმა? როგორ უნდა წარმომიდგინონ? მსახიობთა გრიმი, შეღებილი პირისახე, ყალბი თმა და ზიზილ-პიპილიანი ტანისამოსი რაღაც არა-ბუნებრივად მეჩვენება, უსიამოვნებას მგვრის და მზად ვარ უარ-ვყო, უმნიშვნელოდ ჩავთვალო ეს ჰაპან-წყვეტა და მთლად სასცენო ხელოვნება. მხოლოდ ნამდვილს არტისტიულსა და უნაკლულო თამაშობა-წარმოდგენას შეუძლიან გამომიყვანოს ამ სინამდვილისაგან და ოცნების სამყაროში გადამაფრინოს: მაგრძნობინოს, რომ ჩემს წინ, მაგალითად, ლადო და ნუცა-კი არა სდგანან, არამედ ცოცხალი ჰამლეტი და ოფელია.

ამისათვის საჭიროა თვით არტისტსა ჰქონდეს ზოგი ის თვისება და სულიერი ძალა, რომელსაც მისგან წარმოდგენილი გმირი ატარებს. როგორც პოეტია გმირი თვისის დრამის შექმნის დროს, ისე არტისტიც უნდა იყოს გმირი, სცენაზე მაინც. ჩვენ სამართლიანად ვთხოულობთ არტისტისაგან დიდს ნიჭსა და ხასიათის ძალას, რომ დასძლიოს როლი და პოეტის ოცნების ნაყოფი ხორც-შესხმულ ჰყოს *).

მაღალ ხელოვნურს დრამატიულს ნაწარმოებს, როგორც ხელოვნების სხვა დარგთაც, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და ამისათვის სთარგმნიან კიდეც სხვა-და-სხვა ენაზე. ასეთი დრამა იპყრობს საუკუნო ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, რომელიც მიმზიდველია ყველა ერისათვის. ამასთანავე იგი ეროვნულია, პოეტის აღმზრდელ ერის შემოქმედების თავისებურ ბეჭედ-დასმული. გიოტეს ფაუსტი მსოფლიო ტიპია და მასთან წმინდა ეროვნული, გერმანული. მახსოვს აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს შორის აღძრული პოლემიკა „ვეფხის ტყაოსნის“ გამო. აკაკი ამტკიცებდა, რომ ამ პოემის გმირები ქართველებს წარმოადგენენო; ილია-კი ამბობდა, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ მსოფლიო ტიპებია გამოყვანილიო **). ორივე მართალი იყო. ეროვნული თავისებურობა სულაც არ უშლის ხელს, რომ გმირი იმავე დროს საყოველთაო ჭეშმარიტებისა და მსოფლიო წუხილის (міровая скорбь) მტარებელი იყოს.

დიაღ, ჩვენმა დრამატურგებმა ღრმად უნდა ჩაიხედონ ჩვენს ცხოვრებაში, დაუგდონ ყური ქართველთა მაჯის ცემას, გაიგონ ერის ისტორიული მისწრაფება, მოსძებნონ ღირს-შესანიშნავი მოვლენანი და გმირობის კვალი, მიაგნონ სათავეს, შეჰკრიბონ ყველა ეს და ჩაუდგან საკუთარი სული..

ქართული პოეზია საკმაოდ მდიდარია ლირიკითა და ეპიკით, ყველაზე უფრო ძნელი დარგი—დრამა-კი აქამდის არ მოეპოვება, და მოგეხსენებათ, რომ ერის კულტურულ მომწიფებულობისა და ხელოვნების სიმაღლის მაჩვენებელი დრამატიული პოეზიაა.

მელიტონ გობეჩია.

---

*) მე დავესწარი ამას წინად გამართულს გამოსაცდელს წარმოდგენას, სადაც ზოგიერთმა ყმაწვილმა საკმაო ნიჭი გამოიჩინა. შეიძლება მათგან რიგიანი არტისტები გამოვიდნენ, თუ ხელმძღვანელობა და მზრუნველობა გაუწიეს. ავტ.

**) აქ ავტორი, ცოტა არ იყოს სცდება. აკაკი ამტკიცებდა, რომ პოემის გმირნი ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხის ტიპიური წარმომადგენელნი არიანო, ხოლო ილია ამბობდა, რომ პოემაში დასურათებულია დიდის ფსიხოლოგიურის სინამდვილით უპირველეს ყოვლისა ადამიანი, ქალი და კაცი, რომელთაც ქართველის ფერი და იერი აქვთო. ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხის წარმომადგენელის დახასიათება აქ არაფერს შუაშიაო. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესულიყო. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა მოხელედ, იგი ბუნებას სხვა ნიჭით დაუჯილდოვებია და ყმაწვილი კაცი ამ ნიჭის განვითარების გზას დასდგომოდა. პირველ ხანებში მშობლებისა და ნათესავების ფარულად ანდომებდა დროს მხატვრობის შესწავლას, შემდეგ-კი გამოუტყდა შინაურებს, რომ მწყურიან სამხატვრო სასწავლებელში შესვლაო. როცა შეიტყო ტფილისში სამხატვრო სასწავლებლის დაარსება, სულაც დაანება სამსახურს თავი და გამოეშურა ტფილისისაკენ. ყმაწვილ კაცს წრფელის წადილისა და ნიჭის მეტი არაფერი მოეპოვებოდა. ამიტომ მესამე თვეზე უკიდურესმა გაჭირვებამ სასწავლებლის მაგივრად მოანახვინა ღამის თავშესაფარი.

აი, თითქმის მთელი წელიწადი გაატარა ს. ჭანუყვაძემ ღამის თავშესაფარში, ბევრი მწარე დღე ნახა წლის განმავლობაში. ბევრი დღე დაადგა მშიერ მწყურვალს, უქონლობას თან ერთვოდა სულიერი ტანჯვა; მძიმე ავადმყოფობაც გამოიარა ყმაწვილმა კაცმა თავ-შესაფარში ყოფნის დროს. ეს ყოველივე აუტანლად ხდიდა იმის ცხოვრებას. ხშირად დამაფიქრებდა ხოლმე მისი უმწეო მდგომარეობა, მაგრამ შველა ვერსად მოეხერხებინა, იქნება ცხოვრების შეუბრალებელ და მკაცრ კანონებს ყმაწვილი კაცი სულაც ემსხვერპლა, რომ ისევ თავის ნიჭს არ ეშველა იმისთვის. სვიმონ ჭანუყვაძე უკიდურეს მდგომარეობაშიაც-კი არ ივიწყებდა ხატვას, მუდამ კარანდაში ეჭირა ხელში და რაც მოხვდებოდა, ჰხატავდა. ბოლოს, ეტყობა, მოსწყენოდა ქაღალდზე ხატვა და ნებადაურთველად შესდგომოდა თავშესაფარის ერთს თეთრს კედელზედ სურათის დახატვას. იმის სურვილისათვის ხელი შეეწყოთ ამხანაგებსაც და არავინ არაფერი მოთხრა, ვიდრე სურათი სრულიად არ დაემთავრებინა. სურათი მშვენიერი იყო, თუმცა ვუსაყვედურე ჭანუყვაძეს დაუკითხავად დახატვა, მაინც აღარ წავშლევინე, სურათი წარმოადგენს გურულს ნადირობას, შორს, ღობეს იქით მოსჩანს ფაცხა, ღობეს აქეთ რამდენიმე დიდი ხეა დახატული, შემდეგ მოსჩანს ხშირი ტყე; ტყის პირას, ორ ადაგას ჰგდია ორი მოჭრილი და გამოხრული დიდი ხე, იქვე სჩანს ამოუყრელი კუნძები. ტყის პირად რამდენიმე გარეული ღორი შემოუბრუნებიათ მონადირისაკენ ძაღლებს და მონადირე მეორე მხრიდან მიზანში იღებს სასროლად.

ყმაწვილ კაცის ბედზე, იმ ხანებში ქალაქის ახალი მოურავი თავადი არღუთინსკი დოლგორუკოვი ათვალიერებდა ქალაქის სხვადა სხვა დაწესებულებებს. სხვათა შორის დაათვალიერა მეორე ღამის თავშესაფარიც. კედელზე დახატული სურათი ძალიან მოეწონა ქალაქის მოურავს და მოისურვა ჭანუყვაძის ნახვა. იმ დროს სვიმონ ჭანუყვაძე იქვე მახლობლად ფეხ-შიშველა, დამკლავებული სწურავდა წყლით გაჟღენთილ ტილოს და იატაკის გასაწმენდად ემზადებოდა. ქალაქის მოურავმა მაშინვე გადმოსცა ფული, რომ ჭანუყვაძისათვის ტანისამოსი მეყიდნა და სთხოვა ყმაწვილს ქალაქის გამგეობაში მასთან მისვლა. ამ დღიდან სიმონ ჭანუყვაძეს სანატრელი დღე დაუდგა, თ-დ არღუთინსკი-დოლგორუკოვმა თავის ხარჯზე დაუქირავა მასწავლებელი, რომ ჭანუყვაძე სამხატვრო სასწავლებელში მოემზადებინა, უზრუნველ-ჰყო სმა-ჭამით და დაჰპირდა შემდეგშიაც შველას. ოთხი თვე სვიმონ ჭანუყვაძე „თ-დ არღუთინსკი-დოლგორუკოვის ხარჯზე სწავლობდა. ყმაწვილი მოემზადა და ეხლა ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში ეგზამენი დაიჭირა. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა პირველ ხანებში ტანისამოსისა და წიგნების ფულიც მისცა და ამ გვარად გზაზე დააყენა ნიჭიერი ახალ-გაზრდა კაცი, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჭანუყვაძის ასპარეზისა. იმას დასჭირდება რამდენიმე წელიწადი ტფილისში სწავლა და შემდეგ რუსეთშიაც და ამისათვის-კი არავითარი სახსარი არ აქვს. ჩვენ ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლიდი ყოველივე ეს მეცნობებინა ქართველ საზოგადოებისათვის. შეიძლება გამოჩნდეს ისეთი კაცი ან საზოგადოება ჩვენში, რომელმაც მოისუროს ყმაწვილ კაცის შველა. კაცთ-მოყვარე ქველ-მოქმედმა ყმაწვილი კაცი ფეხზე წამოაყენა და ეხლა იმის უზრუნველ-ყოფა ქართველ საზოგადოების მოვალეობაა.

წერილი
რედაქციის მიმართ.

„ივერიის“ № 185-ში, სხვათა შორის წავიკითხე კორესპონდენცია ახალციხიდგან, ბ-ნ „შინაური“-სა, რომელიც სწერს, რომ ახალციხის წ. კ. გ. საზოგადოების სამკითხველოში წესიერება არ სუფევსო და გაზეთებიც თავის დროზედ არ მოდისო. ეს სულ ცოცხალი ტყუილია, რადგანაც ფოსტიდგან გაზეთებს აძლევენ საღამოს 7 საათზე, გამოტანას უნდება თითქმის ერთი საათი, სამკითხველო-კი იკეტება 8 საათზე*). ხანდახან გაზეთების გარჩევასაც-კი ვერ ასწრობენ და გაზეთების გამოტანა ფოსტიდგან მეორე დილისთვის რჩება. ბ-ნი „შინაური“ ბრძანებს, ძალიან უცნაური მეთვალყურე გვყავსო და სამი საათი უნდა უცადო წიგნის გამოცვლასო. კარგი იქმნებოდა,—ბ-ნ შინაურს მოეყვანა მაგალითად რომელიმე შემთხვევა. როგორც მე, ყოველ-დღიური მკითხველი არ შემინიშნავს, რომ გაზეთები არ ყოფილიყოს სამკითხველოში დ მკითხველებს ეცადოთ წიგნის გამოსაცვლელად სამი საათი, ამიტომ, რასაცა სწერს ბ-ნი „შინაური“, სიმართლეს მოკლებულია. მართალია, მეთვალყურე უცნაური კაცი უნდა იყოს, რადგან მცირე ჯამაგირს კმაყოფილდება, ე. ი. თვეში ათ მანეთს, მაგრამ მადლობის მეტი-კი, მგონი, არა გვეთქმის-რა

კიდევ შინაური.

---

*) შეიძლება, ბ-ნ შინაურს სურდეს სამკითხველოს 10 საათზე დაკეტვა, მაგრამ... მაგარიც ის არი, რომ ნავთის და შეშის მომეტებულ ხარჯს რომელ შემოსავალთან გააქვითებს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 სეკდემბერი

პეტერბურგი. ბიულეტენი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მდგომარეობისა: „მის იმპერატორებით უმაღლესობას 30 აგვისტოდგან 8 სეკდემბრამდე უკეთობა ეტყობა. სხეულის დამბლა დაცემულ ნაწილის მოძრაობა უფრო თავისუფალი აქვს; თავს უკეთა ჰგრძნობს; ძილი და მადა რიგიანი აქვს. მაგრამ ამასთანავე 1 სეკდემბრიდგან აღმოაჩნდა სასუნთქავ შტოების კატარი, რაიცა იყო მიზეზი სიცხის მომატებისა; 8 სეკდემბერს სიცხე ავიდა 38,8 გრადუსამდე. 9-ს დილით დაიწია 36,6-მდე. უავგუსტოესი დღეს თავს უკედა ჰგრძნობს.

„კანონდებათა კრებულში„ დაბეჭდილია საქართველოს სეგზარხოსის საეკლესიო სკოლათა მართვა-გამგეობის მოწყობისა და დაბა კისლავოდსკის ქალაქად გადაკეთების შესახებ.

ვაშინგტონი. მარსელში მყოფი ამერიკის მთავარი კონსული სკინნერი განსაკუთრებით მინდობილობით აბაშეთს მიემგზავრება. ჰგონებენ, ამის მიზეზი სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ მოლაპარაკება არისო.

სოფია. მეამბოხეთა მთავარ შტაბის ანგარიშში მოხსენებულია, წინააღმდეგ ოსმალთა ცნობებისა, მონასტირის ვილაეტში ჯუფთების გაწყვეტის შესახებ,—ჯუფთების ორგანიზაცია საუკეთესოდ არის მოწყობილიო; არც ერთი მათგანი არ გაუფანტავთ; პირ იქით 1,200 ოსმალოს ჯარის კაცი, მეამბოხეთა შეტაკების დროს დაჭრილნი, ბიტოლიის საავადმყოფოში გაგზავნესო.

სუდაკი. მამულ „ახალ ქვეყანა“-ში, დეპუტაციის თანადასწრებით, გაიმართა თავად გოლიცინის პატივსაცემლად დღესასწაული. დიდის აღტაცებით მოისმინეს ბელოვეჟიდან ხელმწიფე იმპერატორისაგან გამოგზავნილი დეპეშა: „გილოცავთ 25 წლის კეთილ-ნაყოფიერ მოღვაწეობას რუსეთის მეღვინეობის სასარგებლოდ. გისურვებთ მომავალშიაც მეურნეობის ამ მეტად საჭირო დარგის გასაძლიერებლად გამარჯვებით გემოღვაწნოთ.

“ნიკოლოოზ“.

ორიოლი. ხელმწიფე მემკვიდრის მიერ გამოფენის კომიტეტისათვის ნაბოძები ვერცხლის მეორე კათხა მიეცემა ჯილდოდ ორიოლის გუბერნიაში მეურნეობის საუკეთესოდ მომწყობს. გამოფენა 40,000-მა კაცმა ინახულა. შესასვლელ ბილეთებით შემოვიდა 10,000 მანეთი.

ბელგრადი. სერბიის ჯუფთი გადვიდა საზღვარს პრეშევისაკენ. ოსმალებმა უკან დაახევინეს და სამი მეჯუფთე მოუკლეს. ამის გამო ფეხთი-ფაშამ საყვედური შეუთვალა სერბიის მთავრობას.

— ოსმალებმა გააძლიერეს ჯარები ძველ სერბიაში. სერბიის მთავრობა შეშფოთდა.

სტამბოლი. ინგლისის 4—5-მა სამხედრო გემმა ბრძანება მიიღო,—რაც შეიძლება მიუახლოვდით სალონიკსაო. ასეთივე ბრძანება მიუღია საფრანგეთის 3-ს გემს.

ბელგრადი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ოსმალეთის დესპანისათვის წარუდგენია ნოტა, რომელშიაც სჩივის სერბიის საზღვრებზე ოსმალთა ჯარების გაძლიერების გამო და თხოულობს, უკანვე წაიყვანეთ ჯარიო. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, შესაფერს ღონის ძიებას მივმართოთო.

ვაშინგტონი. მთავარ კონსულის სკინნერის აბაშეთს გაგზავნის შესახებ იუწყებიან,—შეერთებული შტატები, რომელნიც მხოლოდ სავაჭრო საქმეში არიან დაინტერესებულნი, აღარ აპირობენ გულხელ დაკრეფით უყურონ აფრიკის საქმებსაო.

ჯიბუტი. ხარრარსა და რკინის გზის ლიანდაგს შორის საეტლო გზის გაყვანის გამო რას-მაკონენმა წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა სურვილი, რომ საფრანგეთი და აბაშეთი მუდამ განუყრელნი ყოფილიყვნენ.

10 სეკდემბერი.

პეტერბურგი. დაინიშნენ: პრიამურის გენერალ-გუბერნატორი სუბბოტიჩი—სამხედრო საბჭოს წევრად; გენ-მაიორი სავვიჩ—კიევის გუბერნატორად;

1904 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ბერნში მოხდება საერთაშორისო კონგრესი მხატვრობის შესწავლისა.

სოფია. ბელგრადიდგან მოსული ცნობა ბულგარიის მთავრის კაბინეტის უფროსის დობროვიჩის მისსიისა პეტრე მეფესთან და პეტრეს მდივნის მთავარ ფერდინანდთან მისვლა პასუხის გადასაცემლად—უსაფუძვლოა.—ადრიანოპოლიდგან ბურგასის ოლქში ლტოლვილთა რიცხვი 10,000-ს აღემატება.

მონაკო. იტალიის ვიცე-კონსულის მდივანი, რომელიც ვიცე-კონსულის მაგივრად განაგებდა საქმეებს, დღეს თავის სადგომში ყელ-გამოჭრილი ნახეს.

ბუდაპეშტი. საღამოს მოხდა კონფერენცია კოშუტის დასისა. გადასწყვიტეს დეპუტატთა პალატას წარუდგინონ წინადადება, რათა ადრესი მიართვან იმპერატორს და აღნიშნონ კონსტიტუციის კანონთა დარღვევა, რომელიც მოხდა მხედრობის შესახებ გამოცემულ ბრძანებით; ამასთანავე პალატამ დაავალა კომისიას მალე წარუდგინოს პროექტი ადრესისა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნას, რომ მთელი ერი ერთობრივ მზადაა დაიცვას კონსტიტუცია და საკავშირო კანონები.

ბიისკი. „სიბირსკაია ჟიზნი“ იტყობინება, რომ კიასტადამ მოყოლებული ურგამდე, მთელს გზაზე ტყეებს ცეცხლი უკიდია. საშიშია, რომ ტელეგრაფის ბოძებს არ მოეკიდოს.

ბელგრადი. წუხელის ამორჩეულ იქმნენ 72-ი ზომიერი რადიკალი, 61 დამოუკიდებელი, ორი ისეთი, რომელნიც არც ერთ ფრაქციას რადიკალებისას არ ეკუთვნიან, 14 ლიბერალი, ერთი ნაპრედნიაკი და ერთიც სოციალისტი. ცხრა კიდევაა ამოსარჩევი.

ცინტაუ. ამერიკის ესკადრა მოვიდა აქ.

სტამბოლი. ილდიზის სასახლეში მინისტრთა საბჭო შეიკრიბა.—პორტამ ახლად მისწერა ვალიებს და სამხედრო მთავრობათა სალონიკს, ადრიანოპოლსა და უსკიუბში ჯუფთა წინააღმდეგ მოქმედების შესახებ, რათა დაიცვან მშვიდობიანი მცხოვრებნი; ამ მიწერილობებში მოხსენებულია, რომ თვითეული სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირი, რომელიც ასეთს ნებას სულთანისას წინააღმდეგობას გაუწევს, სასტიკად დაისჯება. პორტამ მისწერა ვალიებს, მუტასერიფებს დ კაიმაკამებს, შემოიარონ ოლქები, ჩააგონონ ბულგარეთის მცხოვრებთ მშვიდობიანად მოიქცნენ და დაბრუნდნენ თავ-თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

ლონდონი. „Ztangart“-ს აუწყებენ პარიჟიდგან, რომ აქაურ პოლიტიკოსთა შორის ამბობენ, ვითომ მაროკოს საქმე ბჭობის საგნადაა გადაქცეული ლანსდოუნსა და საფრანგეთის ელჩს შორის ლონდონშიო. როგორც ჰგონებენ, საფრანგეთი მზად არის შეიწყნაროს ნეიტრალიტეტი ტანჟერისა და წარუდგინოს ინგლისს გარანტია ვაჭრობის საქმეში, უკეთუ ბოლოს მაროკო საფრანგეთის გავლენის ქვეშ იქმნება. ამას ჰპირდება საფრანგეთი ინგლისს იმ შემთხვევაში, თუ იმედი ექმნებოდა, რომ დღევანდელ ბჭობას შედეგად მოჰყვება განსაკუთრებული ოქმი ინგლისის საქმეში ჩაურევლობისა. საფრანგეთი თავის მხრივ ასეთსავე გზას დაადგებოდა ეგვიპტის საქმის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა 9 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,20
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი.	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864	443 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336¾ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92½ წვ. გაყ.
5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9400 გაყ.
აქციები. ,, ,, ,,	465 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	385
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	190 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადებანი

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и Ко
„Локсотисъ“

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლაბორატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ესსაშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს, იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოურის ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალებაა საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად გრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში, რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველგვარი ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კაპ., 65 კაპ. 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). საშუალოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ აღაქავებს საცვლებს, შპალერს და ავეჯს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფასი 60 კაპ. —1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განჰკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—36)

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—14)

კოკორი ანუ ანბანი
და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია. ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.
(6—5—6)

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.